

საქართველოსა და შვეიცარიის კონფედერაციას შორის გეოგრაფიული აღნიშვნების, ადგილწარმოშობის დასახელებებისა და წარმოშობის წყაროს აღნიშვნების ურთიერთაღიარებისა და დაცვის შესახებ შეთანხმება

საქართველო და შვეიცარიის კონფედერაცია (შემდგომში წოდებული „შვეიცარიად“).

შემდგომში წოდებული ცალ-ცალკე „მხარედ“, ხოლო ერთად - „მხარეებად“.

მხედველობაში იღებენ რა ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ეფექტური დაცვის მნიშვნელობას მხარეთა შორის ხელსაყრელი სავაჭრო ურთიერთობების განვითარებაში;

ეყრდნობიან რა ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის (EFTA) წევრ სახელმწიფოთა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებას, და კერძოდ, მისი დანართი XV მე-8 მუხლის;

აღიარებენ რა გეოგრაფიული აღნიშვნების, ადგილწარმოშობის დასახელებებისა და წარმოშობის წყაროს აღნიშვნების როლს ვაჭრობასა და მხარეთა ეკონომიკურ განვითარებაში;

მიზნად ისახავენ რა გეოგრაფიული აღნიშვნებითა და ადგილწარმოშობის დასახელებებით ნიშანდებული საქონლითა და ასევე წარმოშობის წყაროს აღნიშვნებით ნიშანდებული საქონლითა და მომსახურებებით ორმხრივი ვაჭრობის ხელშეწყობასა და განვითარებას;

სურთ რა მხარეთა შორის თანამშრომლობის გაღრმავება გეოგრაფიული აღნიშვნების, ადგილწარმოშობის დასახელებებისა და წარმოშობის წყაროს აღნიშვნების დაცვის თვალსაზრისით; და

ხელახლა ადასტურებენ რა თავიანთ თანხმობას, შექმნან ამგვარი დაცვისათვის ხელსაყრელი პირობები გეოგრაფიული აღნიშვნების,

ადგილწარმოშობის დასახელებებისა და წარმოშობის წყაროს აღნიშვნების დაცვის
შესახებ ორმხრივი შეთანხმების გაფორმებით;

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1: მოქმედების სფერო

1. დისკრიმინაციის აკრძალვისა და ნაცვალგების პრინციპების თანახმად,
მხარეები აღიარებენ და იცავენ თავიანთ გეოგრაფიულ აღნიშვნებს,
ადგილწარმოშობის დასახელებებსა და წარმოშობის წყაროს აღნიშვნებს, ასევე
თავიანთ სახელმწიფო ემბლემებს, როგორიცაა გერბები და დროშები, მე-2 მუხლის
შესაბამისად.

2. „გეოგრაფიული აღნიშვნა“ ნიშნავს აღნიშვნას, რომლებიც მიუთითებს
საქონლის წარმოშობას წევრი ქვეყნის ტერიტორიიდან, ან ამ ტერიტორიაზე
მდებარე რეგიონიდან ან ადგილიდან, როდესაც საქონლის მოცემული ხარისხი,
რეპუტაცია ან სხვა მახასიათებელი ძირითადად განპირობებულია მისი
წარმოშობის გეოგრაფიულ ადგილით. ადგილწარმოშობის დასახელება
განიხილება, როგორც გეოგრაფიული აღნიშვნის ქვე-კატეგორია, მხარეთა
ეროვნული კანონმდებლობების შესაბამისად.

3. „წარმოშობის წყაროს აღნიშვნა“ ნიშნავს პირდაპირ ან არაპირდაპირ
მითითებას საქონლისა ან მომსახურებების გეოგრაფიულ წარმოშობაზე.

4. ამ შეთანხმების დანართები წარმოადგენს ამ შეთანხმების განუყოფელ
ნაწილს.

მუხლი 2: დაცული აღნიშვნები

დაცული უნდა იქნეს შემდეგი აღნიშვნები შემდეგი აღნიშვნები (შემდგომში:
„დაცული აღნიშვნები“):

1. შვეიცარიაში:



- (ა) საქართველოს აღნიშვნები, რომლებიც ჩამოთვლილია დანართში I და ნებისმიერი სხვა აღნიშვნა, რომელიც აღნიშნავს ამ ქვეყანას ან მის ოფიციალურ ტერიტორიულ ერთეულებს;
- (ბ) საქართველოს სახელმწიფო ემბლემები, რომლებიც წარმოდგენილია დანართში II;
- (გ) საქართველოს გეოგრაფიული აღნიშვნები, რომლებიც ჩამოთვლილია დანართში III.
2. საქართველოში:
- (ა) შვეიცარიის აღნიშვნები, რომლებიც ჩამოთვლილია I დანართში და ნებისმიერი სხვა აღნიშვნა, რომელიც აღნიშნავს ამ ქვეყანას ან მის ოფიციალურ ტერიტორიულ ერთეულებს;
- (ბ) შვეიცარიის სახელმწიფო ემბლემები, რომლებიც წარმოდგენილია II დანართში;
- (გ) შვეიცარიის გეოგრაფიული აღნიშვნები, რომლებიც ჩამოთვლილია III დანართში.

3. I და II დანართებში განსაზღვრული აღნიშვნების ჩამონათვალი წარმოდგენილია როგორც ქართული, ასევე ლათინური ანბანით, როგორც ეს განსაზღვრულია პირველი და მე-2 პუნქტებში. მე-3 მუხლის შესაბამისად, ეს ტრანსლიტერაციები ან ტრანსკრიფციები, ასევე, შეიძლება გამოყენებულ იქნეს შესაბამისი საქონლისა ან მომსახურებების ეტიკეტირების და ნიშანდების მიზნებისათვის.

მუხლი 3: დაცვის ფარგლები

1. „ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ შეთანხმების“ (TRIPS-ის შეთანხმების) 22-ე და 23-ე მუხლების დებულებების დარღვევის გარეშე, მხარეები მიიღებენ ყველა საჭირო ზომას ამ შეთანხმების შესაბამისად, რათა უზრუნველყონ მე-2 მუხლში

მითითებული აღნიშვნების დაცვა. თითოეული მხარე უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეებისათვის, როგორც ეს მითითებულია მე-6 მუხლში სამართლებრივი საშუალებების არსებობას, რათა თავიდან იქნეს აცილებული ამგვარი აღნიშვნების გამოყენება ამ მუხლში ჩამოთვლილ რომელიმე შემთხვევაში.

(ა) 1883 წლის 20 მარტს ხელმოწერილი, გადასინჯული ბოლოს სტოკოლმში 1967 წლის 14 ივლისს და შესწორებული 1979 წლის 28 სექტემბერს სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის, (პარიზის კონვენციის) მე-10 მუხლის დებულებების დარღვევის გარეშე, დანართში I ჩამოთვლილი აღნიშვნები და II დანართში წარმოდგენილი სახელმწიფო ემბლემები¹ დაცული უნდა იყოს შემდეგი ქმედებებისაგან:

- (i) ნებისმიერი პირდაპირი ან არაპირდაპირი კომერციული გამოყენება ისეთ საქონელთან კავშირში, რომელიც არ არის წარმოშობილი შესაბამისი ქვეყნიდან² ან რეგიონიდან ან რომელიც არ შეესაბამება იმ მხარის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, რომელზეც მიუთითებს ეს აღნიშვნა;
- (ii) ნებისმიერი პირდაპირი ან არაპირდაპირი კომერციული გამოყენება მომსახურებების მიმართ ისეთი სახით, რომელიც არ

¹ გერბები განკუთვნილია ოფიციალური გამოყენებისათვის, ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისების გათვალისწინებით.

² ბუნებრივი პროდუქტებსა და კვების პროდუქტებზე შვეიცარიული წარმოშობის წყაროს აღნიშვნის გამოყენების სათანადო ტერიტორია, როგორც შვეიცარიული კანონმდებლობითაა განსაზღვრული, მოიცავს ლიხტენშტეინის სამთავროს, ბიუზინგენ ამ ჰოკრაინსა და კამპიონე დ'იტალიის საბაჟო ანკლავს; ბუნებრივ პროდუქტებზე შვეიცარიული წარმოშობის წყაროს აღნიშვნის გამოყენების შესაბამისი ტერიტორია, როგორც ეს შვეიცარიული კანონმდებლობითაა განსაზღვრული, მოიცავს პეი დე ჟეს და ზემო სავუას თავისუფალი ვაჭრობის ზონებსა და შვეიცარიის ფერმერების მიერ გამოყენებული ნაკვეთების სასაზღვრო ზონაში.

შეესაბამება იმ მხარის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, რომელზეც მიუთითებს ეს აღნიშვნა;

(ბ) დანართში III ჩამოთვლილი გეოგრაფიული აღნიშვნები და მხარეთა სხვა გეოგრაფიული აღნიშვნები, რომლებიც შეესაბამება TRIPS შეთანხმების 22-ე მუხლის პირველ პუნქტში მოცემულ განმარტებას, დაცული უნდა იყოს შემდეგი ქმედებებისაგან:

(i) ნებისმიერი პირდაპირი ან არაპირდაპირი კომერციული გამოყენება იმავე სახის საქონლისათვის, რომლისთვისაც გამოიყენება გეოგრაფიული აღნიშვნა და რომელიც არ არის წარმოშობილი შესაბამისი გეოგრაფიული არეალიდან ან რომელიც არ შეესაბამება იმ მხარის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, რომელზეც მიუთითებს ეს აღნიშვნა;

(ii) ნებისმიერი პირდაპირი ან არაპირდაპირი კომერციული გამოყენება იმ საქონლის მიმართ, რომელიც არ არის იმავე სახის, როგორიც ის საქონელი, რომლის მიმართაც გამოიყენება გეოგრაფიული აღნიშვნა, ან კომერციული გამოყენება მომსახურებ ის მიმართ, თუ ასეთმა გამოყენებამ, შესაძლებელია მიუთითოს ან მიანიშნოს კავშირზე ამ საქონელსა ან მომსახურებას და გეოგრაფიული აღნიშვნის მოსარგებლეთა შორის, და, შესაძლებელია, ზიანი მიაყენოს მათ ინტერესებს, ან, შესაბამის შემთხვევაში, აღნიშნულ მხარეში გეოგრაფიული აღნიშვნის არსებული რეპუტაციის გამო ასეთმა გამოყენებამ, შესაძლებელია, ზიანი მიაყენოს ან დააკანინოს მისი რეპუტაცია ან გამოიყენოს მისი რეპუტაცია;

(iii) ნებისმიერი სხვა ქმედება, რამაც შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს მომხმარებლები საქონლის ნამდვილ წარმოშობას, წარმომავლობასა ან თვისებებთან მიმართებაში.

2. პირველ პუნქტში გათვალისწინებული დაცვა ასევე ვრცელდება შემდეგ შემთხვევებზე, მაშინაც კი თუ მითითებულია საქონლის ან მომსახურებების ნამდვილი წარმოშობა;

(ა) გამოიყენება დაცული აღნიშვნის თარგმანი, ტრანსკრიფცია ან მისი ტრანსლიტერაცია; ან

(ბ) დაცული აღნიშვნა გამოყენებულია მოდიფიცირებული სახით, თუ ასეთი გამოყენება გამოიწვევს აღრევის რისკს საზოგადოების შესაბამის ნაწილში; ან

(გ) დაცული აღნიშვნა გამოიყენება ისეთ ტერმინებთან ერთად, როგორიცაა „სტილის“, „სახის“, „ტიპის“, „მოდელის“, „იმიტაცია“, „მეთოდი“, „როგორც დამზადებულია“, „ნაირი“, „მსგავსი“ ან მსგავს შემთხვევებში, მათ შორის გრაფიკულ სიმბოლოებთან ერთად, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს აღრევა, მაშინ, როცა დაცული აღნიშვნით ნიშანდებული საქონელი გამოიყენება ინგრედიენტად.

3. პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული დაცვა ასევე ვრცელდება ერთ-ერთი მხარის ტერიტორიაზე საქონლის იმპორტირების შემთხვევებზე, ასევე როდესაც ერთ-ერთი მხარის ტერიტორიაზე წარმოშობილი საქონელი განკუთვნილია ექსპორტისათვის. მხარეები ვალდებული არიან თავიანთ კომპეტენტურ უწყებებს მიანიჭონ უფლებამოსილება, იმოქმედონ საკუთარი ინიციატივით, რაც ასევე შეიძლება მოიცავდეს ტრანზიტის საკითხებს.

4. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას, რომლიც არღვევს პირველ და მე-2 პუნქტებს, უარი უნდა ეთქვას ან უნდა გაუქმდეს *ex officio*, თუ ეს დაშვებულია მხარეების კანონმდებლობით, ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნის საფუძველზე. თუ ასეთი სასაქონლო ნიშნის განაცხადი შეტანილი იყო სარეგისტრაციოდ ან დარეგისტრირებული იყო კეთილსინდისიერად ან დამკვიდრდა კეთილსინდისიერი გამოყენების შედეგად ამ შეთანხმების ძალაში

შესვლამდე, მისი გამოყენება შეიძლება გაგრძელდეს და შეიძლება ძალაში შენარჩუნდეს ამ შეთანხმების შესაბამისად წარმოშობის წყაროს აღნიშვნისა ან გეოგრაფიული აღნიშვნის დაცვისა და გამოყენების მოუხედავად იმ პირობით, რომ არ არსებობს რაიმე სხვა საფუძველი სასაქონლო ნიშნის ბათილად ცნობისა ან გაუქმებისათვის, რაც განსაზღვრულია მოცემული მხარის კანონმდებლობით.

5. მხარეები არ არიან ვალდებული, დაიცვან მე-2 მუხლში მითითებული აღნიშვნები, თუ:

(ა) არსებობს რეპუტაციის მქონე ან საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშანის და აღნიშვნის დაცვა შეცდომაში შეიყვანს მომხმარებელს საქონლის ან მომსახურების ნამდვილ წარმოშობასთან დაკავშირებით. ეს დებულება არ ვრცელდება მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში და მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მითითებულ აღნიშვნებზე.

(ბ) მცენარის ან ცხოველის ახალი ჯიშის სახელის შემთხვევაში აღნიშვნის დაცვა შეცდომაში შეიყვანს მომხმარებლებს საქონლის ნამდვილ წარმოშობასთან დაკავშირებით.

6. ამ შეთანხმების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებში და მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებში მითითებულ დაცულ აღნიშვნებთან დაკავშირებით არ ვრცელდება TRIPS-ის შეთანხმების 24-ე მუხლის მე-4, მე-6 და მე-7 პუნქტებში მოცემული გამონაკლისები.

7. პარიზის კონვენციის მუხლის 6^{ter} ვალდებულებების შესაბამისად, მხარეებმა უნდა დაიცვან მხარის სახელმწიფო ემბლემები სასაქონლო ნიშნების ან სხვა დაცული სახელწოდებების სახით გამოყენებისა და რეგისტრაციისაგან, როგორებიცა კომპანიის საფირმო სახელწოდება ან ასოციაციის დასახელება, რომლებიც ეწინააღმდეგება მხარის კანონმდებლობითა და რეგულაციებით დადგენილ პირობებს. ეს დაცვა ასევე ვრცელდება ნიშნებზე, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს აღრევა მხარეთა სახელმწიფო ემბლემებთან მიმართებაში.

მუხლი 4: ომონიმური აღნიშვნები

1. ომონიმური აღნიშვნების შემთხვევაში:

- (ა) როდესაც რომელიმე მხარის დაცული აღნიშვნა მეორე მხარის დაცული აღნიშვნის იდენტური ან მსგავსია, დაცვა მიენიჭება თითოეულ აღნიშვნას იმ პირობით, რომ დაცული აღნიშვნა გამოიყენება და გამოიყენებოდა ტრადიციულად და უწყვეტად და არ ხდება საქონლისა ან მომსახურების ყალბი წარმოჩენა იმგვარად, რომ იგი წარმოშობილია მხარის ტერიტორიიდან;
- (ბ) როდესაც მხარის დაცული აღნიშვნა იდენტურია ან მსგავსია აღნიშვნისა, რომელიც მიუთითებს მესამე ქვეყნის ტერიტორიაზე, ეს უკანასკნელი აღნიშვნა შეიძლება გამოიყენებოდეს იმ საქონლის აღწერისათვის და წარმოდგენისათვის, რომელიც წარმოებულია ქვეყანაში, რომელზეც იგი მიუთითებს, ან იმ მომსახურების აღწერისა და წარმოდგენისთვის, რომელიც წარმოშობილია ქვეყანაში, რომელზეც იგი მიუთითებს, იმ პირობით, რომ მოცემული აღნიშვნა გამოიყენება და გამოიყენებოდა ტრადიციულად და უწყვეტად, მისი ამ მიზნით გამოყენება რეგულირდება წარმოშობის ქვეყანაში და არ ხდება იმ საქონლისა ან მომსახურების, რომელზეც იგი მიუთითებს, ყალბი წარმოჩენა იმგვარად, რომ იგი წარმოშობილია მოცემული მხარის ტერიტორიიდან.

2. პირველ პუნქტში მითითებულ შემთხვევებში მხარეები ადგენენ პრაქტიკულ პირობებს, რომელთა მიხედვით აღნიშნული ომონიმური აღნიშვნები იქნება განსხვავებული ერთმანეთისაგან იმის გათვალისწინებით, რომ საქონლის მწარმოებელთა ან მომსახურებების მიმწოდებელთა მიმართ უზრუნველყოფილი უნდა იქნეს თანასწორი მოპყრობა და მომხმარებლები არ უნდა იყვნენ შეცდომაში შეყვანილი.

მუხლი 5: გამონაკლისები

1. ამ შეთანხმების დებულებები არანაირად არ ლახავს ნებისმიერი პირის უფლებას, გამოიყენოს ვაჭრობაში საკუთარი სახელი ან მისი წინამორბედი მეწარმის სახელი, იმ პირობით, რომ ეს სახელი არ გამოიყენება იმ სახით, რომ შეცდომაში შეიყვანოს მომხმარებლები.

2. არაფერი ამ შეთანხმებაში არ ავალდებულებს მხარეს, დაიცვას მეორე მხარის აღნიშვნა, რომელიც აღარ არის დაცული წარმოშობის ქვეყანაში ან რომელიც აღარ გამოიყენება ამ ქვეყანაში. მხარეებმა უნდა შეატყობინონ ერთმანეთს, იმ შემთხვევაში თუ წარმოშობის ქვეყანაში აღნიშვნას შეუწყდება დაცვა.

მუხლი 6: მოსარგებლეები

ამ შეთანხმებით მინიჭებული დაცვის მოსარგებლეები არიან ფიზიკური და იურიდიული პირები, მათ შორის მწარმოებელთა ფედერაციები, ასოციაციები ან ორგანიზაციები, მომსახურებების მიმწოდებლები, გამყიდველები ან მომხმარებლები, ასევე სახელმწიფო უწყებები. ეს მოსარგებლეები ჩაითვლებიან დაინტერესებულ მხარეებად, იმ პირობით, რომ მათ აქვთ კანონიერი ინტერესი და მათი ადგილსამყოფელი ან სათავო ოფისი მდებარეობს ერთ-ერთი მხარის ტერიტორიაზე. მხარეები უზრუნველყოფენ, რომ ამ შეთანხმების საფუძველზე დაცული უფლებების აღსრულება შესაძლებელი იყოს დაინტერესებული მხარეებისათვის მათ ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 7: გაფრომება და ეტიკეტირება

თუ საქონლისა ან მომსახურების აღწერილობა, გაფრომება სახე ან შეფუთვა, მათ შორის, ეტიკეტზე, რეკლამაში, ოფიციალურ ან კომერციულ დოკუმენტზე გამოყენებისას, არღვევს ამ შეთანხმებას, მხარეები მიმართავენ აუცილებელ

ადმინისტრაციულ ზომებს და უზრუნველყოფები ეფექტურ სამართლებრივი პროცედურების არსებობას, არაკეთილსინდისიერ კონკურენციასთან ბრძოლის ან დაცული აღნიშვნის არასწორი ან შეცდომაში შემყვანი ნებისმიერი გამოყენების თავიდან აცილების მიზნით.

მუხლი 8: საკონტაქტო პირები

1. ამ შეთანხმების დანართში IV მითითული უფლებამოსილი ორგანოები მოქმედებენ, როგორც საკონტაქტო პირები მხარეთა შორის ამ შეთანხმების განვითარების მონიტორინგისა და გეოგრაფიული აღნიშვნებისა და წარმოშობის წყაროს აღნიშვნების სფეროში თანამშრომლობისა და დიალოგის გაღრმავების მიზნით. საკონტაქტო პირები ასევე თვალყურს ადევნებენ ამ შეთანხმების სათანადო ფუნქციონირებას და შეიძლება განიხილონ ნებისმიერი საკითხი მის განხორციელებასა და მოქმედებასთან დაკავშირებით. კერძოდ, ისინი პასუხისმგებელნი არიან შემდეგზე:

- (ა) მე-11 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებულ ცვლილებებზე;
- (ბ) ინფორმაციის გაცვლაზე გეოგრაფიულ აღნიშვნებთან და წარმოშობის წყაროს აღნიშვნებთან დაკავშირებულ სამართლებრივ და პოლიტიკურ მოვლენებზე და ნებისმიერ სხვა, ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხებზე ამ სფეროებში;
- (გ) ინფორმაციის გაცვლაზე გეოგრაფიული აღნიშვნებისა და წარმოშობის წყაროს აღნიშვნებთან დაკავშირებით ამ შეთანხმების შესაბამისად მათ დაცვასთან დაკავშირებით.

2. საკონტაქტო პირები გადაწყვეტილებას იღებენ კონსესუსის საფუძველზე. ისინი ხვდებიან ერთმანეთს ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის საფუძველზე, მხარეთა მიერ განსაზღვრულ დროს, ადგილზე და ფორმით (რაც შეიძლება მოიცავდეს ვიდეო კონფერენციას), მაგრამ არაუგვიანეს 90 დღისა,

ზემოაღნიშნული მოთხოვნის გაგზავნიდან. საკონტაქტო პირების შეხვედრისას განისაზღვრება პროცედურული წესები.

მუხლი 9: დაცული აღნიშვნების შეთანხმების საწინააღმდეგო გამოყენების შემთხვევებში დადგენილი პროცედურა

1. თუ ერთ-ერთ მხარეს აქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ:

- (ა) ამ შეთანხმების მე-2 მუხლით განსაზღვრული დაცული აღნიშვნა გამოიყენება ან გამოიყენებოდა ვაჭრობაში მხარეთა ტერიტორიაზე იმგვარად, რომ არ ეწინააღმდეგება ამ შეთანხმებას; და
- (ბ) ეს შეთანხმების საწინააღმდეგო გამოყენება წარმოადგენს კონკრეტულ ინტერესს მხარისათვის და შეიძლება აისახოს ადმინისტრაციული ზომების მიღებასა ან სამართლებრივი პროცედურების განხორციელებაში, მხარე დაუყოვნებლივ აცნობებს მეორე მხარის საკონტაქტო პირს და წარმოადგენს სათანადო ინფორმაციას ასეთი შეთანხმების საწინააღმდეგო გამოყენების შესახებ.

2. ინფორმაციას, რომელიც უნდა იყოს წარმოდგენილი პირველი პუნქტის შესაბამისად, უნდა ახლდეს ოფიციალური, კომერციული ან სხვა სათანადო დოკუმენტაცია და ზუსტად უნდა იყოს მითითებული ნებისმიერი ადმინისტრაციული ზომების თუ სამართლებრივი პროცედურების განხორციელების შესაძლებლობის შესახებ. კერძოდ, ინფორმაცია უნდა შეიცავდეს მოცემულ საქონელსა ან მომსახურებასთან დაკავშირებულ შემდეგ მონაცემებს:

- (ა) საქონლის მწარმოებლის და მისი მფლობელი ნებისმიერი პირის ან მომსახურების მიმწოდებლის შესახებ ინფორმაციას;
- (ბ) ამ საქონლის შემადგენლობას ან ამ მომსახურების შინაარსის შესახებ ინფორმაციას;
- (გ) ამ საქონლის ან მომსახურების აღწერილობას, გაფრომებას ან/და შეფუთვას;



(დ) ქმედების აღწერას, რომელიც სავარაუდოდ ეწინააღმდეგება მოქმედ წესებს:

(i) ამ საქონლის წარმოების ან ამ მომსახურების მიწოდების შესახებ ინფორმაციას; ან

(ii) ამ საქონლის ან მომსახურების მარკეტინგის შესახებ ინფორმაციას.

3. ინფორმაციის მიმღები მხარე გამოიკვლევს ამ საკითხს და მეორე მხარეს აცნობებს კვლევის შედეგისა და წინამდებარე შეთანხმების მე-3 მუხლის საფუძველზე მიღებული ნებისმიერი ზომის ან სამართლებრივი საშუალებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებულია ეროვნული კანონმდებლობით ასეთი შეთანხმების საწინააღმდეგო გამოყენების თავიდან ასაცილებლად.

მუხლი 10: ეროვნული რეესტრები და სიები

1. მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის დებულებების დარღვევის გარეშე, აღნიშვნის რეგისტრაცია ან დამატება ეროვნულ რეესტრებსა და სიებში, როგორც მითითებულია ამ შეთანხმების დანართში V, მაგრამ რომელიც ჯერ არა შეტანილი დანართში III, დასაშვებია მეორე მხარის უფლებამოსილი ორგანოების ნებართვით, როგორც იმის მტკიცებულება, რომ ეს აღნიშვნა აკმაყოფილებს გეოგრაფიული აღნიშვნის კრიტერიუმებს პირველი მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით.

2. ეს მუხლი გამოყენება, მანამ სანამ მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად მეორე მხარის მიერ ამ კონკრეტულ აღნიშვნაზე არ ჩატარდება ექსპერტიზა.

მუხლი 11: ცვლილებები

1. თითოეულ მხარეს შეუძლია წერილობით მოითხოვოს ამ შეთანხმებაში ცვლილებების შეტანა.

2. შეთანხმების ძირითად ტექსტში ცვლილებები მიიღება მხარეებს შორის კონსესუსის გზით. ამ შეთანხმების ნებისმიერი ცვლილება ძალაში შედის იმ

თარიღის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან, როდესაც დიპლომატიური არხების მეშვეობით განხორციელდა უკანასკნელი შეტყობინება მხარეთა მიერ მისი ძალაში შესვლისათვის აუცილებელი სამართლებრივი მოთხოვნების შესრულების შესახებ.

3. თუ დანართებში I ან III მითითებული აღნიშვნა ან დანართში II არსებული სახელმწიფო ემბლემა აღარ არის დაცული, არის შეცვლილი, ან თუ აღნიშვნა ან სახელმწიფო ემბლემა, რომელიც ჯერ არ არის შეტანილი დანართებში I, II ან III, მიჩნეულია დაცულად, მხარემ უნდა აცნობოს მეორე მხარეს ამ ცვლილებების შესახებ დანართში IV მითითებული საკონტაქტო პირების მეშვეობით. ამ ცვლილებებთან დაკავშირებით, საკონტაქტო პირები იდებენ ერთობლივ წერილობით გადაწყვეტილებას, ასეთი შეტყობინების მიღების შემდგომ თორმეტი თვის განმავლობაში. ამავე გადაწყვეტილებით უნდა განისაზღვროს ამ ცვლილებების ძალაში შესვლის თარიღი.

4. თითოეულ მხარეს შეუძლია დიპლომატიური არხების მეშვეობით, ზეპირი ფორმით, აცნობოს მეორე მხარეს, ამ შეთანხმების დანართებში IV და V სიებში ცვლილებების შეტანის შესახებ. ასეთი ცვლილებები ძალაში შედის ამგვარი შეტყობინების მეორე მხარის მიერ მიღების თარიღიდან.

მუხლი 12: გარდამავალი დებულებები

1. საქონელი ან მომსახურებები, რომლებიც იდენტიფიცირებულია მე-2 მუხლში მითითებული აღნიშვნით და რომლებიც შეთანხმების ძალაში შესვლის დროს კანონიერად იყო წარმოებული ან მოწოდებული, ნიშანდებული და წარმოდგენილი, მაგრამ რომლებიც არ უნდა იყოს იდენტიფიცირებული/მონიშნული ასეთი აღნიშვნით ამ ხელშეკრულების თანახმად, შეიძლება იყოს რეალიზებული საბითუმო მოვაჭრეთა, მწარმოებელთა ან მომსახურებების მოწოდებელთა მიერ ამ შეთანხმების ძალაში შესვლიდან

ერთი წლის განმავლობაში და საქონლის საცალო მოვაჭრეთა მიერ - მარაგის ამოწურვამდე.

2. ამ შეთანხმების შესაბამისად წარმოებული, ნიშანდებული და წარმოდგენილი საქონლის ან ნიშანდებული და წარმოდგენილი მომსახურებების შემთხვევაში, თუ მათი აღწერილობა, გაფორმება ან/და შეფუთვა აღარ შეესაბამება ამ შეთანხმებას ცვლილების შეტანის შემდეგ, რეალიზაცია შეიძლება გაგრძელდეს მარაგის ამოწურვამდე, თუ არ არის მიღწეული რაიმე სხვაგვარი შეთანხმება მხარეთა შორის.

მუხლი 13: კონსულტაციები

მხარეთა შორის დავა წინამდებარე შეთანხმების განხორციელების ან ინტერპრეტაციის შესახებ გადაწყდება მხარეთა შორის გონივრულ ვადაში ჩატარებული კონსულტაციების მეშვეობით.

მუხლი 14: დასკვნითი დებულებები

1. ეს შეთანხმება ძალაში შედის იმ თარიღის მომდევნო მეორე თვის პირველი რიცხვიდან, როდესაც მხარეები გაცვლიან დიპლომატიურ ნოტებს და აცნობებენ ერთმანეთს, რომ დასრულდა ამ შეთანხმების ძალაში შესვლისათვის აუცილებელი შესაბამისი სამართლებრივი პროცედურები.

2. თითოეულ მხარეს შეუძლია შეწყვიტოს წინამდებარე შეთანხმება მეორე მხარისათვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების მეშვეობით. შეთანხმება წყდება მეორე მხარის მიერ ამგვარი შეტყობინების მიღებიდან ექვსი თვის შემდეგ.

დანართი I³

ა) საქართველო: 2.1 მუხლის, (ა) ქვეპუნქტით დაცული ქვეყნისა და მისი ტერიტორიული ერთეულების სახელები

ქვეყნის სახელი	ზედსართავი
Georgia	Georgian
Georgien	georgisch
Géorgie	géorgien
Georgia	georgiano
საქართველო	ქართული
Sakartvelo	Kartuli
ტერიტორიული ერთეულების სახელი	ტრანსლიტერაცია/ტრანსკრიფცია/თარგმანი
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა	Autonomous Republic of Abkhazia Autonome Republik Abchasien République autonome d'Abkhazie Repubblica autonoma Abcasia
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	Autonomous Republic of Adjara Autonome Republik Adscharien République autonome d'Adjarie Repubblica autonoma Agiaria
გურია	Guria Gurien Gourie Guria
იმერეთი	Imereti Imeretien Imérétie Imerezia
კახეთი	Kakheti

³ ტრანსლიტერაციებს, ტრანსკრიფციებს და თარგმანებს გააჩნიათ მხოლოდ საიდუქტრიაციო ხასიათი და არ ავიწროებს ამ შეთანხმების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწიენბული დაცვის ფარგლებს.



	Kachetien
	Kakhétie
	Cachezia
	Mtskheta-Mtianeti
მცხეთა მთიანეთი	Mzcheta-Mtianeti
	Mtskheta-Mtianeti
	Mtskheta-Mtianeti
რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი	Racha-Lechkhumi-Kvemo Svaneti
	Racha-Lechkhumi-Niederswanetien
	Ratcha-Letchkhoumie-Basse Svanécie
	Racha-Lechkhumi e Kvemo Svaneti
სამეგრელო-ზემო სვანეთი	Samegrelo-Zemo Svaneti
	Mingrelien-Oberswanetien
	Mingrélie-Haute Svanécie
	Mingrelia-Alta Svanezia
სამცხე-ჯავახეთი	Samtskhe-Javakheti
	Samzche-Dschawachetien
	Samtskhé-Djavakhétie
	Samtskhe-Javakheti
ქვემო ქართლი	Kvemo Kartli
	Niederkartlien
	Basse Kartlie
	Kvemo Kartli
შიდა ქართლი	Shida Kartli
	Innerkartlien
	Kartlie intérieure
	Shida Kartli



б) შვეიცარია: მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის (ა) ქვეპუნქტით დაცული ქვეყნისა და მისი კანტონების სახელები

ქვეყნის სახელი	ზედსართავი	ტრანსლიტერაცია/ტრანსკრიფცია/თარგმანი
Schweiz	Schweizer/Schweizerisch	შვაიც/ შვაიცერ/ შვაიცერიშ
Suisse	suisse	სუსის/სუსის
Svizzera	svizzero	ზვიცერა/ზვიცერო
Svizra	svizzer	შვიცრა/შვიცერ
Switzerland	Swiss	სვიცერლენდ/სვის
შვეიცარია	შვეიცარიელი/შვეიცარიული	
Helvetia	helvetisch	ჰელვეცია/ჰელვეთიშ
Helvétie	hélvetique	ჰელვესი/ჰელვეტიკ
Elvezia	elvetica	ელვეცია/ელვეტიკო
Helvetica	Helvetica	ჰელვეცია/ჰელვეტიკ
ჰელვეცია	ჰელვეტიკ	

კანტონის სახელი	ქართული ტრანსლიტერაცია, ტრანსკრიპცია და თარგმანი
Aargau	აარგაუ
Argovie	არგოვი
Argovia	არგოვია
	აარგაუს კანტონი
Appenzell Ausserrhoden	აპენცელ აუსერროდენ
Appenzell Rhodes-Extérieures	აპენცელ როდ-ექსტერიერ
Appenzello Esterno	აპენცელო ესტერნო
	აპენცელ-აუსერროდენის კანტონი
Appenzell Innerrhoden	აპენცელ ინერროდენ
Appenzell Rhodes-Intérieures	აპენცელ როდ-ინტერიერ
Appenzello Interno	აპენცელო ინტერნო
	აპენცელ-ინერდენის კანტონი

Basel-Landschaft	ბაზელ ლანდშაფტ
Bâle-Campagne	ბალ კამპანი
Basilea Campagna	ბაზილეა კამპანია
Basel Country	ბაზელის ლანდშაფტი კანტონი
Basel-Stadt	ბაზელ შტადტი
Bâle-Ville	ბალ ვილ
Basilea Città	ბაზილეა ჩიტა
Basel City	ბაზელის შტადტკანტონი
Bern	ბერნ
Berne	ბერნ
Berna	ბერნა
	ბერნის კანტონი
Fribourg	ფრიბურგ
Freiburg	ფრაიბურგ
Friburgo	ფრიბურგო
	ფრიბურგის კანტონი
Genève	ჟენევა
Genf	გენფ
Ginevra	ჯინევრა
Geneva	ჟინივა
	ჟენევის კანტონი
Glarus	გლარუს
Glaris	გლარის
Glarona	გლარონა
	გლარუსის კანტონი
Graubünden	გრაუბუნდენ
Grigioni	გრიგონი
Grischun	გრიშუნ
Grisons	გრიზონ
	გრაუბუნდენის კანტონი



Jura	ჟურა
Giura	იურა
	ჯურა
	ჯურას კანტონი
Luzern	ლუცერნ
Lucerne	ლუსერნ
Lucerna	ლუჩერნა
	ლუცერნის კანტონი
Neuchâtel	ნეშატელ
Neuenburg	ნოიენბურგ
	ნეშატელის კანტონი
Nidwalden	ნიდვალდენ
Nidwald	ნიდვალდ
Nidvaldo	ნიდვალდო
	ნიდვალდენის კანტონი
Obwalden	ობვალდენ
Obwald	ობვალდ
Obvaldo	ობვალდო
	ობვალდენის კანტონი
Schaffhausen	შაფჰაუზენ
Schaffhouse	შაფჰაუზ
Sciaffusa	შაფჰაუზა
	შაფჰაუზენის კანტონი
Schwyz	შვიც
Schwytz	შვითც
Svitto	ზვიტო
	შვითცის კანტონი
Solothurn	სოლოთურნ
Soleure	სოლერ
Soletta	სოლეტა
	სოლოთურნის კანტონი
St. Gallen	სანქტგალენ



Saint-Gall	სენ გალ
San Gallo	სან გალო
	სანქტ-გალენის კანტონი
Thurgau	ტურგაუ
Thurgovie	ტურგოვი
Turgovia	ტურგოვია
	ტურგაუს კანტონი
Ticino	ტიჩინო
Tessin	ტესინ
	ტიჩინოს კანტონი
Uri	ური
	ურის კანტონი
Vaud	ვო
Waadt	ვაადტ
	ვოს კანტონი
Valais	ვალე
Wallis	ვალის
Vallese	ვალეზ
	ვალეს კანტონი
Zug	ცუგ
Zoug	ზუგ
Zugo	ძუგო
	ცუგის კანტონი
Zürich	ციურიხ
Zurich	ზურიქ
Zurigo	ძურიგო
	ციურიხის კანტონი




დანართი II

ა) მე- 2 მუხლის პირველი პუქნტის „ბ“ ქვეპუნქტით დაცული საქართველოს სახელმწიფო ემბლემები

გერბი:





დროშა:





ბ) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დაცული შვეიცარიის სახელმწიფო ემბლემები

გერბი:



დროშა:



დანართი III⁴

ა) მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დაცული საქართველოს აღნიშვნები

დასახელება (ზედსართავი)	ტრანსლიტერაცია/ტრანსკრიფცია/ თარგმანი ინგლისურად (ზედსართავი)	პროდუქტის კატეგორია
აჭარული ჩლეჩილი	Acharuli Chlechili Adjarian Chlechili	ყველი
ახალქალაქის კარტოფილი	Akhalkalakis Kartopili Akhalkalaki potato	კარტოფილი
ახაშენი	Akhasheni	ღვინო
ატენი (ატენური)	Ateni (Atenuri)	ღვინო
ბოლნისი	Bolnisi	მიწერალური წყალი
ბორჯომი	Borjomi	მიწერალური წყალი
ჭაჭა	Chacha	ყურძნისაგან დამზადებული სპირტიანი სასმელი
ჩოგი	Chogi	ყველი
ჩურჩხელა	Churchkhela	პური, ცომეული, ნამცვრები, საკონდიტრო ნაწარმი, ორცხობილები და საკონდიტრო ნაწარმი
დამბალხაჭო	Dambalkhacho	ყველი
გუდა	Guda ⁵	ყველი
გურჯაანი	Gurjaani	ღვინო
იმერული ყველი	Imeruli Kveli Imeretian cheese	ყველი

⁴ ტრანსლიტერაციებს, ტრანსკრიფციებს და თარგმანებს გააჩნიათ მთლიანდ საილუსტრაციო ხასიათი და არ აკიტროւებს, ამ შეთანხმების მე-3 მუხლის შე 2 პუნქტით გათვალისწიებული დაცვის ფარგლებში.

⁵ გერგრაფიული აღნიშვნა „გუდა“-ს დაცვა ქართული წარმომობის ყველისათვეის არ ყრინადმდეგება სახელის „გუდა“-ს გაძოებებას, როგორც ყველის სახეობისა და როგორც აღნიშვნაში შემავალი ნაწილისა, რომელიც დაცულია მესამე ქვეყნის გეოგრაფიულ აღნიშვნად.



კახეთი (კახური)	Kakheti (Kakhuri)	ღვინო
კარდენახი	Kardenakhi	ღვინო
ქართული ყველი	Kartuli Kveli Georgian cheese	ყველი
ხვანჭკარა	Khvanchkara	ღვინო
ქინძმარაული	Kindzmarauli	ღვინო
კობი	Kobi	ყველი
კოტეხი	Kotekhi	ღვინო
ქუთაისის მწვანილი	Kutaisis Mtsvanili Kutaisi greens	მწვანილი
ყვარელი	Kvareli	ღვინო
მაჭახელას თაფლი	Machakhelas Tapli Machakhela honey	თაფლი
მანავი	Manavi	ღვინო
მაწონი	Matsoni	რძემჟავა პროდუქტი
მეგრული სულგუნი	Megruli Sulguni Megrelian Sulguni cheese	ყველი
მესხური ჩეჩილი	Meskuri Chechili Meskhetian Chechili	ყველი
მიტარბი	Mitarbi	მინერალური წყალი
მუკუზანი	Mukuzani	ღვინო
ნაბეღლავი	Nabeghlavi	მინერალური წყალი
ნაფარეული	Napareuli	ღვინო
საირმე	Sairme	მინერალური წყალი
სქური	Skuri	მინერალური წყალი
სულგუნი	Sulguni	ყველი
სვანური სულგუნი	Svanuri Sulguni Svanetian Sulguni cheese	ყველი
სვირი	Sviri	ღვინო
თელიანი	Teliani	ღვინო
ტენილი	Tenili	ყველი



ტიბაანი	Tibaani	ღვიწო
ტყიბულის მთის ჩაი	Tkibulis Mtis Chai Tkibuli mountain tea	ჩაი
წინანდალი	Tsinandali	ღვიწო
თუშური გუდა	Tushuri Guda ⁶ Tushetian Guda ⁶ cheese	ყველი
ტვიში	Tvishi	ღვიწო
უწერა	Utsera	მინერალური წყალი
ვაზისუბანი	Vazisubani	ღვიწო
ზვარე	Zvare	მინერალური წყალი

⁶ გეოგრაფიული აღნიშვნა „გუდა“-ს დაცვა ქართული წარმომაზის ფკელისათვის არ ეწინააღმდეგება სახელის „გაუდა“-ს გამოყენებას, როგორც ყველის სახელისა და როგორც აღნიშვნაში შემავალი ნაწილისა, რომელიც დაცულია მესამე ქვეყნის გეოგრაფიულ აღნიშვნად.



ბ) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დაცული შვეიცარიის აღნიშვნები

დასახელება	თარგმანი ინგლისურ და სახელმწიფო ენებზე	ქართული ტრანსლიტერაცია, ტრანსკრიფცია/თარგმანი	პროდუქტის კატეგორია
Aargau		აარგაუ	ღვინო
Aargauer Bure Kirsch	Aargau cherry spirit	აარგაურე ბურე ქირშ/აარგაუს ალუბლის სპირტიანი სასმელი	სპირტიანი სასმელი
Abricotine / Eau-de-vie d'abricot du Valais	Apricotine / Valais apricot spirit	აბრიკოუტინ/ი დუ ვი დ'აბრიკო დუ ვალე/ აბრიკოტინი / ვალეს გარგარის სპირტიანი სასმელი	სპირტიანი სასმელი
Absinthe du Val-de-Travers	Val-de-Travers absinth	აბსენთ დუ ვალ-დე ტრავერ /ვალ- დე ტრავერის აფსენტი	სპირტიანი სასმელი
Adelboden		ადელბოდენ/ადელბოდენი	მინერალური წყალი
Aigle		ეგლ/ეგლი	ღვინო
Appenzell		აპენცელ/აპენცელი	მინერალური წყალი
Appenzell Ausserrhoden		აპენცელ აუსერროდენ/აპენცელ აუსერროდენი	ღვინო
Appenzeller		აპენცელერ/აპენცელერი	ლუდი
Appenzeller		აპენცელერ/აპენცელერი	ყველი
Appenzeller Alpenbitter	Appenzell Alps herbal spirit	აპენცელერ ალპენბიტერ/აპენცელ ალპური მცენარეული სპირტიანი სასმელი	სპირტიანი სასმელი
